ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

3 აპრილი
ხუთშაბათი
2025 წელი
№14(9380)
ფასი 40 თეთრი

ჯილდო ქვეყნის და რეგიონის ღირსეულად წარმოჩენისათვის

სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერთან **ოთარ არბოლიშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილთან** ერთად, რწმუნებულის ადმინისტრაციაში ევროპის ჩემპიონს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **დიმიტრი ხაჩიძეს** უმასპინძლა, რომელმაც 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება მოიპოვა. რწმუნებულმა სპორტსმენს მადლობა გადაუხადა წარმატებული გამოსვლისა და ქვეყნისა და რეგიონის სახელის ღირსეულად წარმოჩენისათვის.

გამარჯვებულ მოჭიდავეს სახელმწიფო რწმუნებულისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტისაგან მადლობის სიგელები და ფულადი ჯილდო 10 000 ლარი გადაეცა. შეხვედრისას ხაზი გაესვა სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა სპორტსმენების მხარდაჭერის მნიშვნელობას. სახელმწიფო რწმუნებულმა, წარმატებული კარიერის გაგრძელება და მომავალ ტურნირებში გამარჯვებები უსურვა სპორტსმენს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ - რწმუნებულის მოადგილეები **დავით ვარდიაშვილი, შოთა როსტიაშვილი**, აპარატის უფროსი **გიორგი მიქელაძე**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენელი **თათა ლამბრიანიძე**.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2025 წლის 28 მარტს, გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დეპუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო განყოფილების უფროსის Ⓜ. ᲯᲐᲘᲭᲐᲫᲘᲡ ინფორმაცია 2024 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

ასევე მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში, რომელიც წარადგინა Ⓜ. ᲨᲐᲰᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

დაამტკიცეს ქ. ბორჯომში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.02.10.026) სასტუმროს და გამაჯანსაღებელი კიმპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია;

მოისმინეს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ᲨᲔᲠᲐᲑ ᲘᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე;

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს II კვარტალის სამუშაო გეგმა.

ტექნიკური ხარვეზების გამო შესწორებები შეიტანეს „დაბა ბაკურიანში მდებარე ზოგიერთი ქუჩის სახელწოდების ცვლილებისა და სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტებისათვის (ჩიხი, შესახვევი) სახელის მინიჭების შესახებ“, საკრებულოს 2025 წლის 14 მარტის განკარგულებაში;

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებზე თანხის გადანაწილების თაობაზე წარმოდგენილ წინადადებებს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - მოქმედებაში!

ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დასრულების ეტაპზეა.

სოფელი ტბის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში გამართულ შეხვედრებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატი ტბის ადმინისტრაციულ ერთეულში, **მამუკა ლურსმანაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ სოფელ **სადგერში, ცემში, ლიბანში და ტბაზე,** მოსახლეობასთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტს **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“,** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

აღინიშნა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღე

1991 წლის 31 მარტი იყო უმნიშვნელოვანესი დღე ჩვენი ქვეყნისთვის. ამ დღეს ჩატარდა რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, ასევე, დღეს, 86 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, რომელიც იყო ამ რეფერენდუმის და დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის მთავარი სულისჩამდგმელი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ 1991 წლის შემდეგ, ქვეყანამ ოთხი სხვადასხვა ომი, ორი რევოლუცია, უმძიმესი ეკონომიკური კრიზისები და ურთულესი წლები გამოიარა, თუმცა საქართველომ შეძლო დამოუკიდებლობის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ კიდევ უფრო განმტკიცება.

,,დამოუკიდებლობას სჭირდება მუდმივი გაფრთხილება და დღეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი და სუვერენული, როგორც არასდროს“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ იანვრისა და თებერვლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქსტატის მონაცემებით, იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ - 11.1%, ხოლო თებერვალში 7.7% შეადგინა. მთავრობის მეთაურის თქმით, სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2025-2029 წლებში საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა, როგორც რეგიონში, ასევე მთლიანად ევროპის მასშტაბით.

„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ არა მხოლოდ ეს პროგნოზი შევასრულოთ, არამედ კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. ეკონომიკურ გაძლიერებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვისაც“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია ტურიზმი და ავიაცია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლეა ბრიტანული ავიაკომპანიების - **„briTiS earveisis“** და **„izi jetis“** საქართველოში შემოსვლა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მობილობის კიდევ უფრო გაზრდას და ტურიზმის მეტად განვითარებას.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართველი სტარტაპერები, რომლებიც ქმნიან მაღალტექნოლოგიურ და ინოვაციურ პროდუქტებს, 10 წლის განმავლობაში უპრეცედენტო საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ, საიდანაც პირველი სამი წლის განმავლობაში, მათთვის ნულოვანი საშემოსავლო გადასახადი იმოქმედებს.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ასევე განიხილეს ინიციატივა, რომლის თანახმად მთავრობის ადმინისტრაციის აუდიტის სამსახურის ფუნქციები გაფართოვდება და მას არა მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციის, არამედ მთლიანად მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობის ზედამხედველობის ფუნქციაც მიენიჭება. შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში უახლოეს დღეებში დაინიცირდება.

ცხოვრების დონის ხანგრძლივი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია

ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევის ცენტრმა გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების ქსელთან და საერთაშორისო შემფასებელ კვლევით ორგანიზაცია „გელაპთან“ პარტნიორობით, მსოფლიო ბედნიერების 2025 წლის ანგარიში გამოაქვეყნა.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა მსოფლიოს 147 სახელმწიფოსა და ტერიტორიაზე ცხოვრების დონის შეფასების გაუმჯობესების ისტორიული ანალიზი ინდექსის დაარსებიდან დღემდე.

ისტორიული პროგრესის დასადგენად მკვლევარებმა საბაზისო 2005-2010 წლების მსოფლიო გამოკითხვის შედეგები მიმდინარე 2022-2024 წლების ანალოგიურ კვლევებს შეადარეს და ისტორიული პროგრესის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო ხუთეული გამოვლინეს.

შედეგები საქართველოსთვის კეთილსაიმედო აღმოჩნდა. საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია.

ანგარიშში ვკითხულობთ, „ხუთივე ლიდერი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობს: **სერბეთი, ბულგარეთი, საქართველო, ლატვია და რუმინეთი“** (გვ. 20).

მთლიანობაში, მსოფლიო ბედნიერების ინდექსის ზოგად რეიტინგში, საქართველო წელს 91-ე ადგილზეა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საქართველო მსოფლიოს საუკეთესო 50 ქვეყანას შორის მოხვდა ისეთ საკვანძო მნიშვნელობის ორ ფაქტორულ კრიტერიუმში, როგორიცაა თავისუფლება და კორუფციის აღქმა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევის ცენტრს ყურდღეობის მიღმა არც 2012 წლის შემდგომ განცდილი პროგრესი დაუტოვებია. ამ შემთხვევაშიც, საქართველო ლიდერთაგანია. 2012 წლის შემდეგ ბედნიერების ინდექსის გაუმჯობესების მიხედვით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მერვე პოზიციაზე გავიდა.

საკრებულოს ქალთა დეპუტაცია აქტიურობს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **მაკა მანჯავიძემ** და “ქალთა ოთახის” კოორდინატორმა, **ნონა ლურსმანაშვილმა,** სოფელი დვირის ადმინისტრაციულ ერთეულში “ქალთა ოთახის” ფუნქციების, მუნიციპალური სერვისებისა და სოციალური პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შემდეგ კი მოსახლეობის პრობლემები მოისმინეს და მათ შეკითხვებს უპასუხეს.

შეხვედრას დვირის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, **ელზა კუჭუხიძეც** ესწრებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო და “ქალთა ოთახი”, რამდენიმე თემის მოსახლეობას უკვე შეხვდა და მსგავსი ტიპის საინფორმაციო შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს.

გუჯარეთის ხეობაში ფანჩატური მოეწყობა

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, გუჯარეთის ხეობაში ახალი ფანჩატური მოეწყობა.

პროექტი ითვალისწინებს, ფანჩატურის მოწყობას ხის დეკორატიული ელემენტებით, ასევე მოეწყობა ბუხარი, სადაც დამონტაჟდება მაგიდა და სკამები.

ახალი ფანჩატურის მოწყობა ბორჯომის მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე მიიღო. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!!!

13 წლის წინანდელი წინასწარმეტყველება

ცნობილი ქართველი წინასწარმეტყველის, ლელა კაკულიას ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე მორიგი წინასწარმეტყველება 2012 წლის 11 მაისს გამოქვეყნდა, რომელიც ამას წინათ სარედაქციო არქივში აღმოვაჩინე და კიდევ ერთხელ დიდი ინტერესით წავიკითხე.

- ესპანურენოვანი მოსახლეობისათვის ითარგმნა და ვიდეოდ „აიკინძა“ ლელა კაკულიას წინასწარმეტყველება, რომლის შეხსენება ქართველი მკითხველისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება, ჩვენი უკრაინელი მეგობრებისთვისაც და თავად რუსეთის მოსახლეობისთვისაც.

ქალბატონმა ლელამ იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში რუსეთი მაინც ვერ დაწყნარდება. ვხედავ, ხალხი ოპოზიციას აიძულებს, რომ უფრო აქტიური გახდეს. შეადგინონ მოქმედებების ეფექტური გეგმები, ვინაიდან მრავალი ადამიანი გამოვა ქუჩაში, ხალხი მთავრობას არაფერს დაუთბომს. პირიქით, იწყება ხელჩართული ბრძოლები. ოპოზიციის ლიდერებს მიუსჯიან არაერთ დღეს ან ორ კვირას, არამედ ორ-სამ თვეს ან რამდენიმე წელს, რათა ხალხი ლიდერების გარეშე დატოვონ. იგონებენ ათასნაირ ხრიკებს, მაგრამ მთავრობას ეს ვერ უშველის. მოკლედ, ერთხანს იბატონებენ, ვინაიდან ძალაუფლება მათ ხელშია - ამით დროს იგებენ და მოქმედებენ, რითაც საკუთარი მმართველობის პერიოდს ამცირებენ. თუმცა, არც ოპოზიციიდან იქნება ვინმე, ვინც არჩევნების დროს გაიმარჯვებს და მოვა მთავრობაში.

ასე რომ, ქალბატონ ლელას ნათელმხილველობა გამართლდა, რუსეთში აზვირთდა გაფიცულების ტალღა, ხალხი ქუჩაში მართლა გამოვიდა.

ქალბატონი ლელა წერდა:

„დღევანდელმა მთავრობამ რაც არ უნდა მოიმოქმედოს, მაინც წავა დადგენილ დროზე ადრე, ამიტომ მთელ რუსეთს ძალიან, ძალიან რთული პოლიტიკური პერიოდების გადატანა მოუწევს. იჭერენ ყველას და ეს პრეზიდენტის ბრძანებით ხდება. ეს იქნება მისი ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც მერე ვერაფრით ვერ გამოასწორებს. უფრო მეტიც: პუტინს საბჭოთა კავშირის თავიდან შექმნის სურვილი აქვს, ანუ დაბრუნება იმ წარსულისა, როდესაც რუსეთი შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს და თანატოლი ზესახელმწიფო იყო ამერიკისა. რუსეთი იყო გაერთიანებული 15 სახელმწიფოს მმართველი. აქ რუსეთის მთავრობა უდიდეს შეცდომებს დაუშვებს.

რუსეთის ხელისუფლება ყველას და ყველაფერს უპირისპირდება და ვერც წარმოუდგენია, რომ ძალიან ცუდად დაამთავრებს. ხალხი მათ არ აპატიებს. ვიმეორებ: რუსეთი იშლება, არაფერი ეშველება.

- ეს მთავრობა უნდა გადადგეს! - ასე ფიქრობს მთელი რუსეთი. მთავრობას მომხრეებიც კი განუდგებიან და ზუსტად ეს იქნება მათი დაშლის დასაწყისი. ხალხის გამოსვლები ქუჩაში უფრო და უფრო მოიმატებს და ამას ვერც პოლიცია და ვერც ჯარი ვერ გაუმკლავდება.

ვხედავ, ოპოზიის ერთ-ერთი ლიდერის სიკვდილს. ხალხი განაცხადებს, რომ ეს მთავრობამ ჩაიდინა.

ნათელმხილველის ნათქვამი ახდა - ციხეში მოკლეს ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი, **ნავალნი.**

მომავალში ვხედავ, მსოფლიოში არცერთი ქვეყანა რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებათა მაგიდასთან აღარ დაჯდება, არავის სურს რუსეთთან საქმის დაჭერა. აღარ ენდობიან, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების ახალი პრეზიდენტები რუსეთის

პრეზიდენტს უნდობლობას უცხადებენ. ბოლოს კი განაცხადებენ, რომ იგი ავადმყოფია და არ ღირს მასთან კონტაქტი. დაიჯერეთ, ასე იქნება ასი პროცენტით და დღეს ამის ყველა ნიშანი აუცილებლად გამოჩნდება, განსაკუთრებით ამერიკა იქნება წინააღმდეგი. ეს გარემოებაც დიდად შეუწყობს ხელს, რომ რუსეთის მთავრობა აუცილებლად გადადგეს, ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტს არავითარი შანსი აღარ ეძლევა მართოს ქვეყანა, ანუ მოუგოს რუს ხალხს, რა ძალაც არ უნდა გამოიყენოს.

მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ კავკასია უფრო იძაბება, კავკასიელთა მოქმედება ტერაქტებს კი არ ჰგავს, არამედ დიდ ომს, რასაც რუსები დღესაც მალავენ და ყველა საბრძოლო მოქმედებას ტერაქტად აღიქვამენ. რეალურად ამას დიდი ომი ჰქვია, რასაც თავადაც აღიარებენ.

რუსეთს საკუთარი შიდა საზღვრებიც აქვს გასარკვევი. ვიმეორებ: ბევრი რეგიონი მოითხოვს დამოუკიდებლობას. ეს ძალიან რთული პოლიტიკური საკითხია, ვინაიდან რუსეთმა შეიძლება საკუთარ ტერიტორიებზე ომი წამოიწყოს. იაპონია ისევ იწყებს კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით მოლაპრაკებებს. დღეს თითქოს რაღაცას წყვეტენ, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ამიტომ იაპონია თავიდან იწებს შეტევას ამ საკითხზე. კი ცდილობს რუსეთი, რომ თავისი პოზიციები შეინარჩუნოს ყველგან, მთელს მსოფლიოში, მაგრამ არაფერი გამოუვა. რუსეთის მთავრობის მიერ გადადგმული ყველა პოლიტიკური ნაბიჯი ჰგავს იმ მოძალადე ადამიანის ქცევას, რომელიც სულ ფიქრობს, რომ მხოლოდ ომით თუ დაალაგებს და მოაწესრიგებს შიდა თუ გარე პრობლემებს.

ეს ძალიან დააფიქრებს ამერიკასა და ევროპას, საერთოდ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს და რუსეთს სერიოზულ პოლიტიკურ ომს გამოუცხადებენ, რასაც ,,ცივი ომი“ ჰქვია და მნიშვნელოვან დარტყმებს მიაყენებენ, რაც რუსეთის მთავრობას მართლა გამოაფხიზლებს.

პირველი - ეს არის ეკონომიკური დარტყმა ვაჭრობის ხაზით; მეორე - ტერიტორიებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები და აღმოსავლეთის ქვეყნებში რუსული პოლიტიკის ძირფესვიანად მოთხრა.

მუსლიმანური ქვეყნები, არაბული სამყარო ომს ჯერ ვერ დაამთავრებს. სირია ომობს, ისრაელიც ომობს, დაძაბულია მთელი აღმოსავლეთი და ასეთი რთული ვითარებით რუსეთის მთავრობა სარგებლობს. იგი ძალიან საშიშ პოლიტიკას გაატარებს ამ ქვეყნებთან მიმართებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარ სახლში საკუთარი ხელით აიფეთქებენ ბომბს, ვინაიდან, ვიმეორებ, მუსლიმები პატარა დარტყმას განახორციელებენ რუსეთში.

ამავე დროს რევოლუციური სულისკვეთება მოსკოვსა და მთელს რუსეთში უფრო და უფრო ღვივდება. ოპოზიციასაც ბევრი აქვს სალაპარაკო თემა, ფაქტებიც და თითქმის მთელი რუსეთი აუმხედრდება საკუთარ მთავრობას, რასაც აშშ დიდი სიამოვნებით უწყობს ხელს.

საქართველოს მდგომარეობა და ქართული პოლიტიკა კი ფერისცვალებას განიცდის. ეს ფერისცვლა არის გამარჯვება ქართველი ერისა და დიდი ზეიმი საქართველოს ნამდვილი დიდი პოლიტიკისა. ეს ის გამარჯვებაა, რომელსაც ვერანაირი რუსეთი და მსოფლიოც კი ვერ მოერევა, იმიტომ, რომ იგი მოდის პირდაპირ უფლისგან და ამიტომ სჯობს, ყველამ თავისი ადგილი მოძებნოს. ყველანაირი უარყოფითი მოქმედება საქართველოს მიმართ განადგურებული იქნება უფლის მიერ. როგორ? - კითხვას ნურც დასვამთ. ამაზე თავად ფაქტები ილაპარაკებენ და საერთოდ, მთელს მსოფლიოში, როგორც ადრეც აღვნიშნე, ყველგან ყველაფერი იცვლება: პრეზიდენტები, კონსტიტუციები და ა.შ.

რუსეთი ქართულ პოლიტიკაში ცხვირს ვეღარ ჩაყოფს. დგება ერთი პერიოდი, როცა ამერიკა-ევროპასთან დაძაბულ პოლიტიკურ ომში რუსეთი (რომელმაც იცის, რომ ეს ომი წაგებული აქვს) მოინდომებს, რომ იყოს ძალიან ლოიალური და თბილი, რითაც ხაზს გაუსვამს, რომ იგი ფეხდაფეხ მისდევს წამყვანი ქვეყნების კანონებს და დააბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს. ეს აუცილებლად ასე მოხდება, ასი პროცენტით!

თბილისი საქართველოს დედაქალაქი იყო და დარჩება. ამას ვიმეორებ მუდმივად, ვინაიდან ვხედავ, რომ ხალხს ეს კითხვა ებადება. ადრეც აღვნიშნე, რომ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული ულამაზესია, მაგრამ მაგონდება დუტუ მეგრელის ლექსი:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ასე რომ, ქართულ პოლიტიკაში რა ძვრებიც მოხდება, ყველაფერი ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის დადებითი სახით გამოვლინდება მომავალში.

მასალები მოიძია
ვალერიან ლომიძემ.

სამშობლო უპირველეს ყოვლისა...“

ორი თვის წინ, რედაქციაში, ერთი ყოფილი, ჩემთვის ძალიან საყვარელი ახალგაზრდა გვეწვია. გავიხარეთ, ბევრი ვისაუბრეთ, საქართველოში განვითარებულ მოვლენებსაც შევეხეთ -

დღეის მდგომარეობით ყველასათვის საფიქრალს და სატკივარს.

სტუმარმა აღნიშნა, რომ თბილისში ძალიან იგრძნობა ხელისუფლების შეცვლის მუხტი. ჩვენ ძალიან მომზადებული, ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, ისინი უნდა მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, რადგან სიტუაცია განიმუხტოს და არალეგიტიმური ხელისუფლება წავიდესო, ამას ევროპაც ადასტურებსო. არ დავეთანხმე, (თვითონ სკოლაში მუშაობს და მისგან ვიცი, საშინელებაა, მიჭირს მუშაობა, ისეთი მოუმზადებელი ახალგაზრდობა მოდისო). და დაამატა, 37-40 წლისანებზე ვიძახი, რომელთაც ცოდნა საზღვარგარეთ აქვთ მიღებული. ლიდერი სავარაუდოდ სექტემბრისთვის გამოიკვეთება, ევროპული მომავალიც დაგვიდგება და ცხოვრებაც წინ წავა.

გაზეთის ფურცლებიდან მინდა ვუთხრა, ზუსტად ევროპაში გამოვლილი ახალგაზრდებია, რომლებიც დავალებებს, მითითებებს იღებენ, თუ როგორ, რანაირად არიონ ქვეყანაში სიტუაცია, რაც უკრაინას დამართეს, ევროპა მასვე ითხოვს ჩვენგან და იყენებს მათ მიერ დაგეშილ ჩვენ ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა, ზოგიერთს. ჩვენზე გაბრაზებულები არიან, როგორ გავბედეთ და არ ჩავერთეთ ომში, ამიტომ ხელახალ არჩევნებზე აქეზებენ ახალგაზრდებს. ვიცი, შენ არ აღიარებ, რომ ომში ჩართვას ითხოვდნენ - ნათქვამიც გაქვს: ხელისუფლება ამით მანიპულირებს, ხალხს აშინებს, ატყუებს, სკამების შენარჩუნების მიზნით.

ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა არც შენ რომ არ და არც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს, ასევე ომში ჩართვა შენთვისაც მიუღებელი, მაგრამ სექტემბრამდე თუ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში უნდა ვიცხოვროთ, დაგვიქცევია ქვეყანა და ეგ არის. არადა, ლეგიტიმაცია, არჩევნები რომ ჩატარდა, ხალხის უმრავლესობით მიენიჭა, რა შუაშია საზღვარგარეთი, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, ხალხის ნებას პატივი უნდა ვცეთ.

ახლა, როცა ხალხის მიერ მოთხოვნით დაიწყო გამოძიება ძველი ხელისუფლების ოპოზიციური პოლიტიკოსების მიერ მიტაცებული ქონების უკან დაბრუნებაზე, უფრო კარგად გამოიკვეთა, ევროპის გარდა, რა ძალები დგას ქუჩაში გამოსული მომიტინგეების უკან. ვის აწყობდა და ახლაც აწყობს ომში ჩვენი ქვეყნის ჩათრევა, ხელახალი არჩევნების ჩატარება, ძალა, რომელიც კვლავ აგრძელებს მომიტინგეების დაფინანსებას, არ სურს ქონება დაკარგოს, რომელიც უკანონოდ აქვს მიტაცებული.

ამერიკის პრეზიდენტის ტრამპის მოსვლამ იმედი ჩაუსახა ქართველ ხალხს უკრაინაში ომის დამთავრებაზე. ტრამპმა მოსვლისთანავე აღიარა დიფ სთეისის ზრახვები. გააუქმა ამერიკაში მათ დაქვემდებარებაში მყოფი USAID ორგანიზაციები, საქართველოშიც სწრაფად დაიხურა და დაფინანსება შეუწყდა USAID-ის ორგანიზაციებს. მათ არეულობა შეჰქონდათ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სწორედ მისი შედეგია, რომ სამი წლის წინ დაწყებული ომი დღესაც გრძელდება რუსეთ-უკრაინას შორის. ახლა მოლაპარაკება იწყება ტრამპსა და პუტინს შორის. ტრამპმა ითავა ომის შეჩერების გადაწყვეტილების მიღება ამ ორ ქვეყანას შორის

ქართველ ხალხს იმედი ჩაესახა, იქნებ ჩვენ ქვეყანასაც ეშველოს, მაგრამ ევროპა კვლავ ომის გაგრძელების მომხრეა, ის კი არადა, თურმე საქართველო ევროპაში სტაბილურობის ხელის შემშლელი ყოფილა.

ძალიან გამეხარდა საკანონმდებლო ორგანომ კანონში მუხლი რომ შეიტანა, რომელიც ითვალისწინებს, სამშობლოს მოღალატეობრივი ქმედების დასჯად გახდომას. უფრო სწორედ, ეს მუხლი შეტანილი იყო, მაგრამ წინა ხელისუფლებამ, 2007 წელს ამოიღო და ფაქტიურად, ამ ხელისუფლებამ აღადგინა.

,,ქართული ოცნება“ ,,ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციური ცნობის პროცესი დაიწყო, ასევე ხელისუფლებამ დააყადაღა ევროპიდან შემოსული თანხა, რამაც მომიტინგეების და ოპოზიციის გულისწყრომა გამოიწვია. მომიტინგეებს არაფრის მოსმენა არ უნდათ, კვლავ აგრძელებენ გამოსვლებს, ათას სისულელეს იგონებენ.

მართალი გითხრათ მომიტინგეები მეცოდებიან, ზოგი მხოლოდ ოპოზიციის დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, ახლა, როცა ექვს მილიარდიანი ინვესტიცია შემოვიდა არაბული საამიროების ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებით, რომელიც 27 იანვარს გაფორმდა, ხელისუფებამ გამოაცხადა, რომ განხორციელდება ბევრი პროექტები, გრანტები, რომელშიც შეუძლია ახალგაზრდობას მიიღოს მონაწილეობა. ასევე შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ როგორც პარტია და ადგილობრივ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა.

თუ ასეთი ჭკვიანები და გონიერები არიან, ამ შეთავაზებით ისარგებლონ და არა, იმ დაფინანსებით, რომელიც ქვეყნის დაქცევას და განადგურებას იწვევს.

კი უარყოფენ, რომ ფინანსდებიან, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ამას წინათ ერთი ჩემი ნაცნობი შემხვდა, რომელიც ხშირად აქციებზე დადიოდა და დროშას აფრიალებდა, გულმა არ მომითმინა და შევეკითხე: რა ქენით, ბრძოლა მოიგეთ-მეთქი? - სულ არ მანაღვლებს ეგ ამბავი, მთავარია, მე მოგებული დავრჩიო.

დასასრულს, მინდა, რაფიელ ერისთავის სტროფები შევახსენო ახალგაზრდებს:

,,სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა... ,,.

ნათელა იჩქიტიძე

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მოლოდინი

ახალდაბას რომ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი რეალურად ეკუთვნის, დიდთოვლობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ბაკურიანში რომ თოვლმა დნობა დაიწყო, ახალდაბაში ისევ თოვლს მიჰქონდა ირგვლივ ყველაფერი. ისევ თოვდა და ისევ ქარბორბალა ტრიალებდა. არ ჩერდებოდა თოვა, გადაადგილებაც კი შეუძლებელი იყო ნებისმიერი ტრანსპორტისათვის. შიდა გზები ერთხელ რომ გაიწმინდა, მეორედ ტექნიკა აღარ გატარებულა, არადა აშკარად ჭირდებოდა კიდევ ერთხელ განმეორებით გაწმენდილიყო.

აქ, ერთხელ გაიწმინდა მაინც, მაგრამ წლებია, ვაშლოვანაში, დიდთოვლობისას სასაფლაოსკენ მიმავალი შიდა გზები არ იწმინდება და აღმართ-დაღმართზე გადაადგილება ტრანსპორტით და ფეხითაც კი შეუძლებელია. დიდთოვლობის ჟამს მანქანით სახლამდე მისვლაც შეუძლებელია, ფეხით თუ მიაღწიე ეზომდე და ძაღლების ყეფასა და კბენას გადაურჩი, შეგიძლია თამამად თქვა, რომ იმ დღეს მშვიდობით ჩაუვლია.

დავუბრუნდები ახალდაბის თემას, ქარი ამოვარდნილი არ არის, რომ ელექტროენერგია, მასთან ერთად ინტერნეტკომუნიკაცია ითიშება. ჩვეულებრივ გარე სამყაროსგან მოწყვეტილად გრძნობ თავს. ზუსტად ასე ვიგრძენი თავი, რამდენიმე დღიანი გადაუღებლად თოვის დროს. ახალდაბაში ვიყავი და ვერ ვახერხებდი კომუნიკაციას, რომ გამეგო, როგორ შევძლებდი მგზავრობას სამსახურამდე. ან რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ ვითარებაში მუშაობა. მობილური არ იჭერდა და არც ინტერნეტი იყო, ამიტომ ასე წამოვედი გზად და ბორჯომში მოსულმა გავარკვიე, რომ ბაკურიანში დენიც აქვთ, გზაც გაწმენდილია და სასწავლო პროცესი ჩვეულებრივად ჩატარდებოდა. გავუყევი ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ მიმავალ გზას და მთავარი გზები გაწმენდილიც იყო და მარილსაც ყრიდნენ.

მესმის, ბაკურიანი საერთაშორისო დონის კურორტია, მაგრამ ახალდაბაში მცხოვრებ მოსახლეობასაც რომ ასეთ პირობებში უწევს ცხოვრება, უფრო მეტადაა გვერდით დგომა საჭირო. ელემენტარულად მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისაღებად უნდა შემუშავდეს წინადადება, რომელიც დიდიხნის ოცნებასა და მოლოდინს ახალდაბელებს რეალობად უქცევს. მცირედ შეუმსუბუქებს კომუნალურ გადასახადებს და 9 თვის განმავლობაში იმაზე ფიქრი აღარ მოუწევთ, როგორ დაზოგონ ოჯახებმა სითბოს ხარჯზე ისედაც მცირე შემოსავალი.

წყლის პრობლემის უკიდურეს მდგომარეობაზე აღარაფრის თქმა მინდა, იმდენჯერ დავწერეთ. სილით ივსება ონკანები, ნიჟარები, საშინელებათა ფილმს ჰგავს, თეთრ აბაზანაში რომ შედიხარ და სილით სავსე, გასაწმენდი და დაზიანებული გხვდება ტექნიკა.

ამ სირთულეების ფონზე, სულაც არ მიკვირს, რომ ახალდაბაში წლიდან წლამდე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეების რაოდენობა დღითიდღე მცირდება და სახლები მხოლოდ აგარაკებად იქცა. მუდმივი მაცხოვრებლების რიცხვი კი უფრო და უფრო იკლებს. მაშინ, როდესაც ამ მხარეს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს და აქვეა ნეძვის აღკვეთილი, ადგილი, რომელსაც ერთხელ რომ მოინახულებთ, მის მუდმივ სტუმრად იქცევით.

ახალდაბაში მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნაა მაღალმთიანი სტატუსის მინიჭების სურვილი, რომელზეც დიდი ხანია საუბრობენ და დაპირებებიც ბევრჯერ გაიცა. ისევ აქვთ მოლოდინი. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

იზა იანვარაშვილი

 პოეზიის მოყვარული

ასაკი ადამიანს არ აბერებს



ამას წინათ რედაქციაში მოხუცი მამაკაცი გვესტუმრა, მორიდებით თავი წარმოგვიდგინა და გაგვეცნო - **პეტრე ძეკოშვილი** ვარ, 88 წლის, დავიბადე ხიზაბავრაში, ახლა აწყურში ვცხოვრობ, ლექსები მოგიტანეთ გამოსაქვეყნებლად, იმედია, უარს არ მეტყვითო.

ბატონი პეტრე საინტერესო ბიოგრაფიის კაცი აღმოჩნდა. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტი, ნახევარი საუკუნე განათლების სისტემაში იღვანა, სხვადასხვა დროს არჩეული იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატად, ასპინძის რაიონული გაზეთის კორესპონდენტად, ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა სკოლის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში, მინიჭებული აქვს რესპუბლიკური კონკურსის „კითხულობს მასწავლებლის“ ლაურეატი. გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული სათაურით - „მენატრები“, „მიყვარხარ“. მოთხრობების კრებულები - „მოგზაურობა წარსულიდან“, „ჩიხორიშის ქალი“.

მისი შემოქმედება გამოირჩევა ქართველი ერის ადათ-წესების, ტრადიციების, იდენტობის, ისტორიული ღირებულებების მიმართ სიღრმისეული წვდომით.

დღეს გთავაზობთ ამ მეტად პიროვნების რამდენიმე ლექსს.

ენძელა

მოტყუებულხარ ენძელავ,
ამოსულხარ და რა დროს,
თებერვლის ქარი ნავარდობს,
ამ შენს საუფლო ფერდობს.
აჭრელებულა მიდამო,
მიწით, ბუჩქით და თოვლით,
შენს გარდა მითხარ ვინ არის,
მარტო კრთობით და თრთოლვით.
ერთ წამით მზემ გამიღიმა,
იყო ღიმილი ყალბი,
ღამის სუსხს როგორ გავუძლებ,
შიშით ცრემლებით დალბი.
ნაზი ფერებით მოსულხარ,
ვინ არის შენი დარი,
ვისთან გაცეკვო, გამღერო,
ვისთვის დაგიკრა ქნარი.
შორს არის ჯერ გაზაფხული,
რისთვის იჩქარე, ნეტა,
ვისთვის იყავი ნანატრი,
ვის კარი დაუკეტა.
ვინ იყო, ვინ დაგიბარა,
ვის ჰქონდა შენი რწმენა,
ვისთვის ხარ გაზაფხული და,
ვისთვის კი ფოთოლცვენა.

მესტუმრე

სოფელში ვცხოვრობ, მესტუმრე,
ჩვენ აქ არა გვყავს ბატონი,
ათაბაგების მამულში
დღეს მე ვარ ბატონ-პატრონი.

ციხე-სიმაგრე სამი მაქვს,
სამივე ციხის ქონგური,
სამაიას და სამ ხმაზე
ვამღერო ჩემი ჩონგური.

ჩემი ლამაზი სამშობლო,
ვამაყობ, მაქვს მომავალი,
მამა-პაპათა მამულში,
ქართლოსის შთამომავალი.

„არ გავცვლი”, მეც ამას ვმღერი,
სხვა საქართველო სად არის,
აწყურ-ხერთვისის, საფარის,
ჩვენი ვარძიის სადარი.

მესტუმრე, შემოგატარო
ჩვენი მესხეთის მთა-ბარი,
ხმამაღლა შენც გათქმევინო,
ჩემი სამშობლო აქ არი.

მე ბავრელი ვარ

ჩემი სოფელი ბავრა არის, მესხეთის მხარეს,
აქ უცხოვრია პაპაჩემს და მის პაპის პაპას,
ედემის ბაღში ამოსჩქეფდა წყარო ანკარა,
რომლის ჩურჩულში მე ვგებულობ წინაპართ ამბავს.
აქ, ამ მდელოზე გაიშენეს ოდა-სახლები,
ერთად დასახლდნენ მიხა, თომა, ლელოთ გიგოლა...
სივრცე ნათელი, წინ მინდორი, მაღლით ფიჭვნარი,
ფრინველთ გალობა - უკეთესი სად გაგონილა.
გოგო-ბიჭები დაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ,
მტერმა ვერაგმა თვალა, თვალა, ვეღარ დათვალა,
ვაზი ჩაყარეს, მოუარეს, ჭიგოს ააკრეს,
თაფლივით ტკბილი ბუდეშური და ხარისთვალა.
შემოეხიზნა ბავრას ახლოს მყოფი სოფლები -
ხიზა, ვარანტა, უნაგირა და ოსპნაური,
ჭირი და ლხინი ერთი ჰქონდათ მათ მეგობრული,
არვინ ამბობდა, ვინ ვინ იყო და სადაური.
როგორც მოვიდნენ, წავიდნენ და თან გაიყოლეს,
აღარ ახსოვდათ თუ ვინ იყო ნაღდი ბავრელი,
განახევრებულ სოფელს დარჩა მათ სამახსოვროდ
მიტოვებული და ამაყი ხიზაბავრელი.
ჰეი, სადა ხართ, ბავრელებო, ხმა მომაწვდინეთ,
კახეთს, იმერეთს თუ სხვა მხარეს, ვინაც სად არის,
შველას მოითხოვს ჩვენი მიწა, ჩვენი მამული,
ბრძენი მესხეთი, დედასავით დასაფიცარი.

23.09.2021

გაუჩინარდი

ეს გაზაფხული ისე მოვიდა,
თან დამყვებოდა შენს გამო დარდი,
თითქოს ნიავმა ჩამოიქროლა
და მთების იქით გაუჩინარდი.
ქუჩა წყნარი და ცარიელია,
დახურულია კვლავ შუშაბანდი,
სადა ხარ, სადა, გავიძახოდი,
დაგეძებდი და აღარსად ჩანდი.
შენს მსგავს ფერიას ავდევნებივარ,
გვერით მომდევდა ეგ შენი ლანდი,
თვალს და ხელს შუა გაუჩინარდი,
ცრემლის წვეთებით თვალებს ვიბანდი.

არ მეგონა

სავსე მთვარე ჩემს აივანს დაჰქათქათებს,
სურვილის წინ აბა მითხარ, რა მეღონა,
უძილობა დაეუფლა ჩემს გონებას,
შენ თუ მიხმობ, ეს კი მართლა არ მეგონა,
მოგონება მონატრებამ შემიცვალა,
პირველ კოცნის ახლაცა მაქვს აგონია,
ოცნებებმა დამიბრუნა ყრმობის წლები,
შენც ჩემსავით შევერცხლილხარ, არ მგონია.
ვარსკვლავები მთვარის შუქზე დაკარგულა,
ნეტავ, სად ხარ, სულში ზიხარ. ის გოგონა,
ხსოვნაში თუ ასე დიდხანს დარჩებოდი,
მაშინ, მაშინ ეს კი მართლა არ მეგონა.

მეჩურჩულე

გაზაფხული მეფერება,
მენატრები ჩემო კარგო,
ცელქი გოგო სადღაც დამრჩა,
მეშინია, არ დავკარგო.
წლები ჩუმად გაპარულა,
ეს ჭაღარაც ისევ მათოვს,
თავს მახსენებს ყრმობის წლები,
ის კოცონი ახლაც მათბობს.
მოგონება თან დამყვება,
სულში ისევ დანავარდობს.
მონატრებას რა ვუშველო,
გული უხმოდ როცა დარდობს.
გაფრენილი სიჭაბუკე,
იქნებ მანდვე შენთან ვნახო.
ისევ ისე როგორც მაშინ,
ლექსიც ჩუმად მიკარნახო.
მეჩურჩულე რაზეც გინდა,
ბავშვობაში დამაბრუნე,
მერე დამწვან სიმართლისთვის,
როგორც დაწვეს ჯორდან ბრუნო.

მართლმადიდებლობის ერთგული მსახური

სულიერების განმტკიცებას შეწირული სიცოცხლე

მინდა გაგაცნოთ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ გამორჩეული სასულიერო პირი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა დედა ეკლესიის წიაღში, ეს პიროვნება გახლდათ აწგანსვენებული მარგველი მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელქიძე), რომელსაც სულ ახლახანს, 19 თებერვალს, დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა.

ერისკაცობაში **დიმიტრი სიმონის ძე** მელიქიძე **დაიბადა** 1925 წლის 19 თებერვალს, ბორჯომის რაიონში, სოფელ ბალანთაში. სწავლობდა ჯერ ბალანთის დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ბაკურიანის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში. 1961-1966 წლებში სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით. 1950 წლიდან მუშაობდა ჯერ ქ. ქლეხურის რაიონის სატყეო მეურნეობაში, შემდეგ ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში.

1972 წლის 3 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის დავით V-ის (დევდარიანი) ლოცვა-კურთხევით სიონის საპატრიარქო ტაძარში, დიმიტრი მელიქიძე დიაკვნად აკურთხეს.

1973 წლის 21 ოქტომბერს, 48 წლის ასაკში, იგი მღვდლად დაინიშნა რუის-ურბნისის ეპარქიის სოფელ ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად.

1974-1978 წლებში მამა დიმიტრი მსახურობდა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრად. 1978 წლის 20 ოქტომბერს, 53 წლის ასაკში, იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელად კონსტანტინე, 22 ოქტომბერს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და გამორჩეული იქნა ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსად. არქიმანდრიტ კონსტანტინე ეპისკოპოსად ხელდასხმით შესრულდა 1978 წლის 29 ოქტომბერს მცხეთაში სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში.

მიტროპოლიტი კონსტანტინე 1979 წლიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარედ. 1980 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა სრულიად საქართველოას კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

მეუფე კონსტანტინე მიიჩნევდა, რომ ეკლესიას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა საზოგადოების უმრავლესობა ჭეშმარიტად მორწმუნე მრევლად ექცია. მისი ქადაგებები იყო სადა, ყველასათვის გასაგები. ქართული ლიტერატურის ჩინებულ მცოდნეს კარგად ესმოდა ინტელექტის, განათლების მნიშვნელობა, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, წერდა ლექსებს. მისი პოეზია საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს უმღეროდა. მისთვის განსაკუთრებით სათაყვანო იყო მშობლიური მესხეთ-ჯავახეთი... მეუფე კონსტანტინე იყო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლის დამფასებელი და ერთგული დამცველი, მას არასოდეს არანაირ დაჯგუფებასა და კულუარულ დაპირისპირებაში არ მიუღია მონაწილეობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის 1984 წელს ებოძა მიტროპოლიტობა. 1985-1995 წლებში მიტროპოლიტი კონსტანტინე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველია. ამ დროს საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, აჭარაში დაიწყო მოსახლეობის უმრავლესობის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნების რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესი.

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს მიტროპოლიტი კონსტანტინე გამოეხმაურა წერილით „საქართველო გადარჩება“. „დღეგრძელი იყოს საქართველო და მისი თავისუფლებისათვის მებრძოლნი, - წერდა იგი. რა მწარეა, რომ 9 აპრილს, სწორედ მისი შვილების სიცოცხლე აჩეხეს. რა კარგად გამოჩნდა, რომ რიცხვით არასოდეს არ ვიბრძოდით, გონება და თავგანწირვა იყო მუდამ ჩვენი გამარჯვების საწინდარი. 9 აპრილმა დაგვიდასტურა, რომ თავგანწირვის უნარი კვლავაც შეგვწევს, ხოლო ღალატისაგან დაბინდულ გონებას ეს-ესაა ვიკრებთ. როგორც არ უნდა შემოგვესიონ, როგორც არ უნდა შეგვავიწროვონ, როგორც არ უნდა დაგვარბიონ, საქართველო გადარჩება! ჩვენში და ჩვენს გარეთ მუდამ იქნებიან მოღალატენი, მოშურნენი, გაუტეხელნი, გაუმაძღარნი, მაგრამ ჩვენში და ჩვენს გარეთ ასევე იქნებიან ერთგულნი, უანგარონი, გონიერნი და გამტანნი, თავდადებულნი, შრომისმოყვარენი, კეთილის დამნახავნი და საქართველო გადარჩება!“...

მეუფე სიმშვიდით, სიყვარულით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. იგი კარგად იცნობდა საინგილოს ისტორიას. ოთხი წლის მანძილზე უანგაროდ მასპინძლობდა მარგვეთის ეპარქიაში ჩამოსულ ინგილო ბავშვებს, რომლებიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩამოდიოდნენ საინგილოდან. მათი რაოდენობა 100-150-ს შეადგენდა. მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, მეუფე ერთი წუთითაც არ ტოვებდა ინგილო ბავშვებს. უყვარდა მათთან საუბარი, განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ინგილოური კილოს თავისებურებაზე. ყურადღება არ მოუკლია ახალგაზრდა ინგილო მასწავლებლებისათვის, მათ საქმიანობას მადლიან საქმედ მიიჩნევდა. სპეციალურად მათთვის ხშირად ატარებდა წირვა-ლოცვას.

1995 წლიდან 2000 წლამდე მიტროპოლიტი კონსტანტინე განაგებდა მარგვეთის ეპარქიას. როგორც იმხანად მარგვეთის ეპარქიის მთავარხუცესი, დეკანოზი გრიგოლ აბულაძე (ხულოსა და სხალთის ეპისკოპოსი სპირიდონი) აღნიშნავდა: „მეუფე კონსტანტინემ უდიდესი ღვაწლი გასწია ზესტაფონში წმიდა ნიკოლოზის სახელობის სასულიერო სასწავლებლისა და ორი სასულიერო ბაგა-ბაღის - წმიდა ბარბარეს და წმიდა ეკატერინეს სახელობის ბაღების დაარსების საქმეში”... მისი ლოცვა-კურთხევით ეპარქიის სოფლებში აღორძინდა ეკლესია-მონასტრები. ზესტაფონში აშენდა წმიდა გიორგის და წმიდა ნინოს სახელობის ტაძრები, შენდება ყოვლადწმიდის და ღვთისმშობლის მიძინებისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრები. მეუფე კონსტანტინე მარგვეთის ეპარქიაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამის მიზეზი იყო მისი საოცარი თავმდაბლობა, ყურადღებიანობა და ქრისტიანული სათნოება.

იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების, მეორე პანაღიის ტარების უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ მეუფეს მოღვაწეობა უწევდა მშობლიური სოფლისაგან მოშორებით, მას არასდროს განელებია მშობლიური კუთხის სიყვარული. იგი აქტიურად იყო ჩაბმული 1983 და 1984 წლებში ჩატარებულ ბალანთობის სახალხო დღესასწაულში, როდესაც სოფლის მოსახლეობასთან ერთად იკრიბებოდნენ სოფლიდან წასულებიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად მეუფე აღასრულებდა საყოველთაო ნათლობასაც.

კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, ჟურნალ „მნათობის“ პრეზენტაციაზე შემდეგი სიტყვები ბრძანა: „ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის მიერ საქართველოს საპატრიარქოს საკმაოდ დიდი დელეგაცია გავემგზავრეთ ეგვიპტეში, დავათვალიერეთ ალექსანდრია, ქაირო. ქაიროს დათვალიერების შემდეგ გავემგზავრეთ სინას წმინდა მთისკენ. ძალზედ შორია ქაიროდან სინას მთა. მანქანას ვაჩერებდით და გარეთ გამოვდიოდით, მაგრამ 5 წუთიც ვერ ვჩერდებოდით, ისეთი მცხუნვარე მზე იყო. მაშინ ასეთი იდეა დამებადა; შევთავაზე, შევეჯიბროთ, ვინ უკეთ იცის თავისი პოეზია და ვის უფრო მდიდარი პოეზია აქვს - ბერძენ ხალხს, რუსს თუ ქართველებს-მეთქი. პირველობა, რა თქმა უნდა, ბერძნებს დავუთმეთ. მათგან ერთ-ერთი მიტროპოლიტი გამოვიდა და ალბათ, თხუთმეტიოდე წუთი ილაპარაკა. ცნობილი ავტორების ლექსებს კითხულობდა, შემდეგ რუსეთის წარმომადგენელს მოვუსმინეთ. ერთმა რუსმა არაფერი იცოდა თავისი პოეზიიდან. დელეგაციაში ბრძანდებოდა მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე. მან მთელი „ვეფხისტყაოსანი“ და დავით გურამიშვილის პოეზია ზეპირად იცოდა. მისი ჯერი რომ დადგა, კითხვა დაიწყო, გავიდა ნახევარი საათი, ის კი მაინც არ ჩერდებოდა. ბოლოს მე ვუთხარი, მეუფეო, დაამთავრეთ, თორემ უხერხულია ამათ წინაშე-მეთქი“.

გარდა სულიერი მოღვაწეობისა, მიტროპოლიტი კონსტანტინე წერდა ლექსებსაც, ერთ-ერთი ლექსის სათაურია: „დედავ მესხეთო“, რომელიც თავის მშობლიურ კუთხეს მიუძღვნა.

მეუფე კონსტანტინე თავის ნაშრომებს აქვეყნებდა ჟურნალ „ჯვარი ვაზისა-ში“, რომელიც პერიოდულად გამოიცემოდა.

მიტროპოლიტი კონსტანტინე 2000 წლის 20 ივლისს 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტ კონსტანტინეს ნეშტი გადმოსვენებულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში, სადაც 22 ივლისს წესი აუგო **უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, რომელმაც ასე დაახასიათა იგი - „დღეს ჩვენ მიწას უნდა მივაბაროთ წმინდა სინოდის უხუცესი მღვდელმთავარი, მარგველი მიტროპოლიტი კონსტანტინე. განგება ღვთისა, ღვთის მარჯვენა მუდამ იყოს მასთან.”**

მეუფე კონსტანტინე შეუდგა ეკლესიურ ცხოვრებას და მღვდელმსახურებას იმ დროს, როცა იდევნებოდა ეკლესია და სარწმუნოება. იგი არ შეუშინდა დევნას და მთელი თავისი ცხოვრება შეწირა ეკლესიას, მის კეთილდღეობას. დღეს, როგორც მაშინ, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სასულიერო პირს და განსაკუთრებით მღვდელმთავარს. მეუფე კონსტანტინემ თავისი დიდი რწმენით, თავდადებული სიყვარულით და განსაკუთრებული თავმდაბლობით შეასრულა თავისი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე.

ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს სული მონისა ღვთისა მარგველი მიტროპოლიტისა, კონსტანტინესი, ამინ!

პატრიარქმა აღნიშნა, - „ის გამოირჩეოდა დიდი რწმენით, სიკეთით, ერთგულებით. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ მეუფეს რაიმე საკითხი გადაეწყვიტა, ან რაიმე ნაბიჯი გადაედგა ისე, რომ ჩემგან ლოცვა-კურთხევა არ აეღო“.

მიტროპოლიტი კონსტანტინე დაიკრძალა სიონის საპატრიარქოს ტაძრის ეზოში. მის საფლავზე ყოველთვის სანთელი ანთია და ცოცხალი ყვავილების თაიგულები აწყვია. ეს ყოველივე მისი ამქვეყნიური სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა.

მეუფე კონსტანტინეს ჰყავდა 4 შვილი: 3 ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი, ქალბატონი ია. მეუფის შვილები ღირსეულად აგრძელებენ მამის კვალს: დეკანოზი აკაკი, თბილისის მეტეხის ტაძრის წინამძღვარია, ხოლო ანგანსვენებული დეკანოზი - ნიკოლოზი მოღვაწეობდა საბერძნეთში, კერძოდ, სალონიკის ერთ-ერთ ეკლესიაში.

აკაკი სარალიძე,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ვულოცავთ!

3 აპრილს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის დაცვის პოლიციის უფროს ინსპექტორ, კაპიტან **ნიკოლოზ ბლიაძეს** დაბადების 39 წელი შეუსრულდა. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას ლამაზ ოჯახთან ერთად.

არასოდეს, არასოდეს დავბერდები

მერე რა რომ გაფრენილა წლები ასე,
მერე რა რომ სიყვარულიც გაფრენილა,
მერე რა რომ ზოგჯერ წლები მტკივა გულში
და მომავალს ბევრი დრო არ დარჩენია.
მაინც მიყვარს ეს ცხოვრება, როგორც ადრე,
მაინც მიყვარს ალერსი და მოფერება,
ჩემი გული არასოდეს დაიღლება.
მე ჭაღარა ვერასოდეს მომერევა...
მერე რა რომ წლები მიღმა დარჩენილა,
სანამ ვცოცხლობ, არასოდეს დავეცემი,
დროს არ მოვკლავ, ჩავიხუტებ ყოველ საათს,
არასოდეს, არასოდეს დავბერდები.

პატივისცემით **თეძო მელიქიძე**

ტრადიციული ტურნირის გამარჯვებული

ლეკვი ლომისა სწორია ...

23-25 მარტს, გორშ, გაიმართა ტრადიციული შეჯიბრი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ 17 წლამდე ასაკის მოზარდები. სულ შეჯიბრში ასპარეზობდა 350 მონაწილე

ამ მეტად პრესტიჟულ შეჯიბრში, მძიმე წონის კატეგორიაში (92კგ), მონაწილეობდა ახალდაბელი **ელგუჯა ლომიძე**, რომელმაც ფინალში ქუთაისელი **დემურ ბაღდავაძე** დაამარცხა და ამ ტურნირის ჩემპიონი გახდა.

ეს შეჯიბრი პირველი არ ყოფილა ამ ახალგაზრდა მოჭიდავისათვის. ელგუჯა სახელოვანი **შოთა ლომიძის** ტურნირის ჩემპიონიცაა. მან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხუთ შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა



და ოთხჯერ ჩემპიონება მოიპოვა. ხოლო ერთხელ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ამჟამად კი, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 3-4 აპრილს გაიმართება, სადაც მსოფლიოს 27 ქვეყნის მოჭიდავეები მიიღებენ მონაწილეობას. ახალგაზრდა მოჭიდავე კარგ ფორმაშია და გვწამს, წარმატებით იასპარაზებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისი უმცროსი ძმა, 10 წლის **ლაზარე**ც ჭიდაობითაა დაინტერესებული. შარშან ნატახტარში გამართულ ტურნირში ჩემპიონობა მოიპოვა.

სასიხარულოა, რომ ახალდაბაში იზრდებიან ლომის ლეკვები, რომლებიც სახელოვანი **შოთა ლომიძის** გვარის ისტორიას ნამდვილად გააგრძელებენ.

კონკურსის გამარჯვებული

ახალგაზრდა ევროპელი ელჩი ბორჯომიდან

17 წლის ბორჯომელი ლიზი გეგეშიძე, ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა ევროპელი ელჩი გახდა. ლიზი ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა და ის 4 წელია, რაც პარალელურად ბორჯომის ტრენინგ ცენტრის მოსწავლე გახლავთ. ტრენინგ ცენტრი ის ადგილია, სადაც მრავალი წელია მრავალფეროვანი ღონისძიებები, აქტივობები თუ კონკურსები ტარდება, სადაც ცენტრის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები. ლიზის საკუთარ ცხოვრებაში არსებულ სიახლესა და სამომავლო გეგმების შესახებ ვთხოვე ესაუბრა:



ლიზი, პირველ რიგში, გილოცავ გამარჯვებას, წარმატებებს გისურვებ. სულ ბოლო კონკურსიდან დავიწყოთ, რომლის გამარჯვებულიც გახდი. რა ეტაპები გაიარე, სანამ გამარჯვებამდე მიხვიდოდი?

- უდიდესი მადლობა მოლოცვისათვის. ახალგაზრდა ევროპელი ელჩების (YEAs) ინიციატივა წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის საკომუნიკაციო პროგრამის EU NEIGHBOURS EAST - ის კომპონენტს. ეს არის არაპოლიტიკური, მოხალისეობრივი საკომუნიკაციო ქსელი, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან და არაბეთის გაერთიანებული სამეფოდან. ქსელის მიზანი, ამავდროულად ჩემი და სხვა ახალგაზრდა ელჩების მოვალეობაა, ამაღლდეს ცნობიერება ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ. წარმოჩენილი იქნას ამ თანამშრომლობის ხელშესახები შედეგები, ამაღლდეს ცნობიერება ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გაზიარებული ღირებულებების შესახებ, გაძლიერდეს სამოქალაქო აქტივიზმი ახალგაზრდებში. რაც შეეხება შესარჩევ კონკურს, სააპლიკაციო დოკუმენტით გადავედი გასაუბრების ეტაპზე და გავიარე გასაუბრება, ოფიციალური პასუხი 19 მარტს მომივიდა.

რამდენად ემოციური იყო აღნიშნულ კონკურსში გამარჯვება?

- საკმაოდ ემოციური იყო პასუხის გაგება, ყველანაირ ემოციას ერთად განვიცდიდი და განსაკუთრებით ვიამაყე საკუთარი თავით.

ტრენინგ ცენტრში სტანდარტული გაკვეთილებისაგან სრულიად განსხვავებული გაკვეთილები გიტარდებათ. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის თანამედროვე მიდგომები ამ კუთხით?

- ახალგაზრდებთან სწორი კუთხით მიდგომა, საფრთხილო და მნიშვნელოვანია. სწორედ, პროფესიული და მეგობრული მიდგომებით იქმნება ჯანსაღი კომუნიკაცია, რის საფუძველზეც ობიექტურად გადმოიცემა და მიიღება ჩვენთვის სასურველი განათლება. აღსანიშნავია საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ბანაკები და შემეცნებითი გასვლითი პროექტები საზღვარგარეთ.

უამრავ პროექტში იღებენ ტრენინგ ცენტრის მოსწავლეები მონაწილეობას. შენ რომელს გამოყოფდი?

- ბევრი ისეთი პროექტია, რომლებსაც გამოვყოფდი, მაგრამ განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო პროექტი: ,,ერთად ერთმანეთისთვის", რომლის ავტორიც ვარ მე და მთელი ახალგაზრდული საკრებულო აქტიურად ვართ ჩართული. ეს პროექტი გულისხმობს მრავალშვილიანი და მოხუცებული ოჯახების პროდუქტებით დახმარებას და მათ გახარებას საახალწლოდ. ასევე, აღსანიშნავია ახალგაზრდული საკრებულოს მიერ ჩატარებული 2024 წლის ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც გაიმართა 28-29 სექტემბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და კომპანია `IDS ბორჯომი-საქართველოს" მხარდაჭერით. აქვე აღვნიშნავ, რომ 30 მარტსაც გვაქვს ახალგაზრდული საკრებულოს განმანათლებლო/შემეცნებითი გასვლითი პროექტი საბერძნეთში, ათენში.

ლიზი, იმ საქმიანობაში რასაც შენ ეწევი, ვინ არიან შენთვის ყველაზე დიდი მოტივატორები?

- ყველაზე დიდი მოტივატორები არიან ჩემი მშობლები, განსაკუთრებით დედა. არასდროს მაძლევენ უფლებას, რომ დავნებდე და ყველანაირ სიტუაციაში გვერდით მიდგანან. ასევე ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ქეთი ნოზაძე, რომელსაც ვფიქრობ, რომ ყველა უნდა იცნობდეს. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ბორჯომელი ახალგაზრდების განათლებასა და განვითარებაში. ქალბატონი ქეთი არის სამართლიანი, მეგობრული, მომთხოვნი. ნამდვილად დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, რომელიც ყველას მხრიდან დასაფასებელია.

სამომავლო გეგმებზეც ვისაუბროთ. მომავალი პროფესია დიპლომატიას ხომ არ უკავშირდება?

- მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მინდა ჩავაბარო სამართალზე, ხოლო რა განხრით, კონკრეტულად არ ვარ ჩამოყალიბებული, თუმცა დიდი მიზნები მაქვს და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი გამომივა.

მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

მადლობა თქვენ ჩემდამი დაინტერესებისათვის.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

მადლობა, მკურნალობასთან ერთად, თბილი დახვედრისათვის

ექიმთან ვიზიტი და მითუმეტეს ექიმ-სტომატოლოგთან, პირადად ჩემთვის, ძალიან დიდ შიშსა და სტრესს უკავშირდება. თებერვალშიც ჩვეული შიშით ვეწვიე კბილის ამოსაღებად, ექიმ სტომატოლოგს, **თეა ჩაფიძეს**. ახლობლის რჩევით მივედი, რომელსაც ჩემი ტკივილის შესახებ შევჩივლე და მითხრა, - მე დავდივარ თეა ექიმთან, მიდი, ნახავ, როგორ გიწამლებსო. კბილის ტკივილი ვისაც კი ერთხელ გამოუცდია, კარგად იცის, რასაც ნიშნავს და მითუმეტეს, მნიშვნელოვანია, ადგილზე როგორი ექიმი დაგხვდება. ახლობლის რჩევას ვენდე და არც შევმცდარვარ, ტრადიციული ექიმისაგან სრულიად განსხვავებული პიროვნება დამხვდა. ახალგაზრდა, სანდომიანი, ღიმილითა და თბილი სიტყვით რომ მომხიბლა თავიდანვე. კბილიც ისე

ამომიღო, ვერ გავიგე. მას შემდეგ კი, როცა კბილი შემაწუხებს, მასთან გავრბივარ. გამიმართლა, რომ მასთან მოვხვდი. დღეს კი ექიმი და პაციენტი მეგობრობას ვაგრძელებთ. უფალმა ამრავლოს თეა ჩაფიძის მსგავსი ადამიანები.

პატივისცემით როზა ანანკიანი

ერთი ამბის მაგალითზე

წერილი ჩემი დღიურიდან

დღეს ერთ-ერთ აფთიაქში შევიარე, მოხუცი ქალბატონი აკანკალებული, დამსკდარი ხელით, ფულს ითვლიდა, წამალი უნდა ეყიდა, მაგრამ... ამდენი არ მაქვს შვილოო, თქვა და უმწეოდ გაჩერდა. უცბად ადგილიდან დავიძარი, ხელფასი ორი დღის წინ ჩამერიცხა და თამამად მივუახლოვდი ქალბატონს, რომელსაც შორიდან ვიცნობდი, მაგრამ რომც არ მეცნო, მაინც დავეხმარებოდი, თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სხვისი გასაჭირი გულთან მიაქვთ და ვხედავ, აფთიაქარი ეუბნება - ,,არ ინერვიულოთ, ქალბატონო, მაგ თანხას მე დაგიმატებთ". -,,ბინტიც" რომ მინდა ხელის შესახვევად? -,,ბინტსაც" მოგცემთ. სათითაოდ გადმოალაგა და სათუთად შეუფუთა ყველაფერი. მოხუცმა ქალბატონმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. მე კი ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთი საუკეთესო ადამიანები არსებობენ ჩვენს გვერდით. აფთიაქარი ვერ ვიცანი, მაგრამ თვითონ მიცნო. თქვენ, ნინო მასწავლებელი არ ხართო? ჩემი მოსწავლის დედა აღმოჩნდა, რომელსაც მართლა ძალიან, ძალიან კარგი შვილი ჰყავს. გამახსენდა და თვალწინ დამიდგა მისი შვილის აბიტურიენტობის პერიოდი, როგორ ბევრს ვშრომობდით მე და მისი შვილი, რომ საუკეთესო ქულები მიეღო. რა თქმა უნდა, შრომა, ყოველთვის გამოიღებს ხოლმე ნაყოფს და მანაც საუკეთესო შედეგი მიიღო. ქალბატონმა დიდი სიყვარულით მომიკითხა, მე კი მოვიკითხე ჩემი მოსწავლე და ბედნიერი ვიყავი, რომ მე მას დავეხმარე, ის კიდევ - სხვას და მთელი ცხოვრების მანძილზე და ამისთვის ვშრომობდი მუდმივად, მე გეხმარები შენ, შენ - მას, ის - სხვას და ასე უნდა გაგრძელდეს უსასრულოდ... აი, მაშინ გადავრჩებით. შეგნებულად არ ვასახელებ აფთიაქარ ქალბატონს, დაე, ის იყოს ნებისმიერი ჩვენგანი...

ნინო გოგოლაძე

საჭირული ლექსები ბაკურიანიდან

საღღეისო თემაზე

მთავრობა გვყავს უმაღლესი,
ბიჭებია ჩინებული,
ქართულ საქმეს აკეთებენ,
სამშობლოსთვის უცემთ გული.
პარლამენტიც მაგარი გვყავს,
თავმჯდომარით დაწყებული,
ბევრჯერ დაუტოვებიათ
ევროპა განბილებული.
პრეზიდენტიც ჯიგარია,
პატრიოტად ნოდებული,
ოპოზიცია კი არის,
სულ მთლად გასოროსებული.
სამი თვეა აქციობენ,
ჯერ არ უჩანთ დასასრული,
თავისი პრეზიდენტი ჰყავთ,
ქართველი-გაფრანგებული.
გარედან შემოგზავნილი,
ძალიან გაბრაზებული,
აბა, რა ეგონათ,
მორჩა ,,იუსაიდის" ფული.

ქართული ხასიათი

პირველ რიგში მას დიდება, ჩვენს გამჩენს და მმართველს,
საქართველო ისე მიყვარს, როგორც ყველა ქართველს.
გაზაფხულზე ქალბატონებს მე მივართმევ იებს,
ვიცავდი და ახლაც ვიცავ ქართულ ტრადიციებს.
ხელს გავუწვდი, დავაპურებ, თუკი სადმე ვნახავ მშიერს,
პატივისცემით ვეპყრობი წლოვანებით ჩემზე ხნიერს.
ძმაბიჭებში ყოფნა მიყვარს, მარტო არ დავიარები,
მიყვარს, როგორც ყველა ქართველს –
,,ღვინო, დუდუკი, ქალები..."
ასე რატომ? მე აგიხსნით, სულ ერთი ეპითეტით,
სომეხი ვარ, ქართული მენტალიტეტით.

გოგი ავაკიანი,
ბაკურიანი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე